დამტკიცებულია :
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის
დირექტრის ბრძანებით N 01/13; 12.01. 2023 წელი
დირექტორი : ნესტანი აბსავა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია

ზუგდიდი
2023

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის (შემდეგში „კოლეჯი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდეგში ,,პროგრამა“) დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების, გაუქმებისა და განვითარების პროცედურებს;

1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის კოლეჯის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის /მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

1.3. პროგრამა წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს კოლეჯის მისიასთან, სტრატეგიულ მიზნებთან ხედვასა და ღირებულებებთან;

1.4. პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ კოლეჯის მიერ ჩატარებული მოკვლევა რეგიონის/თემის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ, პროფესიულ სტუდენტთა/აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგები ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები რეგიონის/თემის საჭიროებების თაობაზე და ა.შ.)

1.5. პროგრამის შინაარსი განისაზღვრება შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის/ საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით;

1.6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ ჩარჩო დოკუმენტთან /საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას;

1.7. პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს საგანმანათლებლო სტანდარტი /ჩარჩო დოკუმენტი, თუმცა, შესაძლოა[ ]არსებობდეს სხვა დამატებითი სამართლებრივი საფუძვლებიც, როგორიცაა 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“, ან სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი.

მუხლი 2. პროგრამების შემუშავების ეტაპები და მიზანშეწონილობის განსაზღვრა

2.1. პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზს, შეხვედრებს პროგრამის პოტენციურ განმახორციელებელ პერსონალსა და პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;

2.2. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებებს:

- არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით;
- კოლეჯის აფართოებს პროგრამათა სპექტრს;
- პროგრამის ფარგლებში შეძენლი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას ან ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების რეალიზაციას ან ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას, რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან;
- სხვა არსებითი გარემოებებს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას არგუმენტებად.

2.3. პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობის დასაბუთებამ უნდა მოიცვას შემდეგი ასპექტები:

1. კონცეპტუალური მიზანშეწონილობა - ამ ნაწილში უნდა გაანალიზდეს ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში პროგრამის განხორციელება კოლეჯის მისიასთან, მის პროფილთან და სტრატეგიულ მიზნებთან;

2. რესურსული მიზანშეწონილობა - ამ ნაწილში ფასდება პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნები, საგანმანათლებლო რესურსები. ფასდება კოლეჯის არსებული მდგომარეობა და განისაზღვრება შესაძენი რესურსები, საჭირო დამატებითი ინვესტირების ოდენობა. მათ შორის გათვალისწინებული უნდა იქნეს პერსონალის (პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები) მოზიდვა, პერსონალის არსებობა, მათი გადამზადების საჭიროება და სხვა;

3. ეკონომიკური მიზანშეწონილობა - ამ ნაწილში აღიწერება პროგრამის განხორციელების დაფინანსების შესაძლო წყაროები. საბიუჯეტო, კერძო თუ სხვა. განისაზღვრება ოპერაციული ხარჯები და შემოსავლები, უნდა დასაბუთდეს პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა (საპროგნოზო ბიუჯეტი). გარდა ფინანსური მდგრადობისა, გაანალიზდეს პროგრამის განხორციელების ეკონომიკური მიზანშეწონილობა დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზზე დაყრდნობით, უფრო ფართო კონტექსტში. ამ ნაწილში აისახება კურსდამთავრებულთა დასაქმების არეალი და შესაძლებლობები. რამდენი ადამიანი დაასრულებს პროგრამას მისი ფუნქციონირების პერიოდში და არის თუ არა მათი დასაქმების პოტენციალი კოლეჯის ფუნქციონირების არეალში;

განიხილება კოლეჯის სამოქმედო არეალში კონკურენტი პროვაიდერების არსებობა, პროგრამის კონტექსტში. შეფასდება კოლეჯის ძლიერი მხარეები კონკურენტებთან

მიმართებით. უნდა დასაბუთდეს თუ რატომ უნდა განახორციელოს ეს პროგრამა კოლეჯმა და ხომ არ გამოიწვევს პროგრამის დამატებითი ფუნქციონირება კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიჭარბეს. ასევე გასათვალისწინებელია სტუდენტთა ტრანსპორტირება, მასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. სამართლებრივი მიზანშეწონილობა - ამ ნაწილში უნდა დაასაბუთდეს, პროგრამის განხორციელების კავშირი დამატებით რეგულაციებთან და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა, როგორიცაა მარეგულირებლის თანხმობა გარკვეული საქმიანობის განხორციელებისას ან პროგრამის განხორციელების პროცესში საჭირო აღჭურვილობის, მასალა-ნედლეულის შეძენა, შენახვა და გამოყენება ხომ არ უკავშირდება რაიმე სახის სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დაკმაყოფილებას. ასევე საჭიროებს შესწავლას პროგრამის თანაგანმახორციელებელის კომპეტენცია, საჭიროების შემთხვევაში ფლობდეს შესაბამის ნებართვებს ან ლიცენზიებს ან იყოს რეგისტრირებული კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. ოპერაციული მიზანშეწონილობა - კოლეჯის ორგანიზაციული მოწყობა უნდა იძლეოდეს პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. განსაკუთრებით ყურადღება უნდა გამახვილდეს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობასა და დატვირთვაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებში მისი განხორციელების სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა. დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთათვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამების შემუშავების ეტაპები

3.1. პროგრამის შემუშავების თაობაზე ინიცირება შეუძლია კოლეჯის დირექტორს, ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პარტნიორ ორგანიზაციას და ნებისმიერ პირს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურების დაცვით;

3.2. პროგრამის შემუშავების ინიციატორმა უნდა წარმოადგინოს კოლეჯის დირექტორის სახელზე არგუმენტირებული მოხსენებითი ბარათი პროგრამ(ებ)ის შემუშავების მიზანშეწონილობის შესახებ. მოხსენებითი ბარათში უნდა ჩანდეს, რის საფუძველზე, ან რა გარემოებებით არის განპირობებული პროგრამის შემუშავების/დანერგვის სურვილი/საჭიროება. აღნიშნული დებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის შემუშავების ინიციატორი არის კოლეჯის დირექტორი;

3.3. კოლეჯის დირექტორი განიხილავს ამ მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში გამოცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას (შემდგომში „ბრძანება“) კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ (შემდგომში „ჯგუფი“);

3.4. ამ მუხლის 3.3 პუნქტის მიხედვით გამოცმულ ბრძანებაში განისაზღვრება: ჯგუფის ხელმძღვანელი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები;

3.5 ამ მუხლის 3.3 პუნქტის მიხედვით პროგრამების შემუშავების ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ:

- პროგრამის ინიციატორი;
- კოლეჯის დირექტორი;
- სასწავლო პროცესის მენეჯერი/სპეციალისტი;
- საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორი;
- პრაქტიკის მენეჯერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დამსაქმებლები;
- კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელი (პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები);
- ბიბლიოთეკის მენეჯერი;
- ბუღალტერი;
- კურსდამთავრებულები;
- პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები;
- დარგის ექსპერტები;
- და სხვა.

3.6. ჯგუფს ხელმძღვანელობს პროგრამის შემუშვების ინიციატორი, ან პროგრამის პოტენციური ხელმძღვანელი, ან დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი;

3.7. სამუშაოს დაწყებამდე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ჯგუფს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 4. პროგრამების შემუშავების პროცედურა, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

4.1. პროგრამის შემუშავების ჯგუფი:

4.1.1 შეისწავლის პროგრამის შემუშავების საფუძვლებს, მათ შორის შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტს/ჩარჩო დოკუმენტს;

4.1.2 განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამის დასახელება უნდა ასრულებდეს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, თუმცა, ის უფრო მარკეტინგული დატვირთვის მატარებელია. ამიტომ ის, შესაძლოა, განსხვავდებოდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან, თუმცა, არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი და არ უჩენდეს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან ან სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით. პროგრამის სახელწოდება, შესაძლოა, იყოს როგორც დასაქმების პოზიცია, ასევე საქმიანობის ან სწავლების სფერო;

4.1.3 განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამისთვის არჩევით მოდულ(ებ)ს (იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საგანმანათლებლო სტანდარტი იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების
შესაძლებლობას). შესაძლებელია, არჩევითი მოდულის სხვა პროფესიული

საგანმანათლებლო
სტანდარტიდან გადმოტანაც. ამისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას სამი გარემოება:
ა) არჩევითი მუდულ(ებ)ი ვალიდური უნდა იყოს მოცემული პროგრამისათვის, ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
ბ) გათვალისწინებული უნდა იქნას მოდულ(ებ)ზე დაშვების წინაპირობები; დაშვების წინაპირობა არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა, მაგალითად: თუ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლების ფლობა, არჩვით მოდულზე დაშვების წინაპირობა არ უნდა იყოს სრული ზოგადი განათლება ან სხვა ისეთი მოდულის გავლა, რომელსაც არითვალისიწნებს შესამუშავებელი პროგრამა;
გ) არჩევითი სტატუსის მოდულების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დასაშვებ ოდენობას.
დ) აკონკრეტებს პროგრამაში გათვალისწინებული უცხოური ენის სწავლებისათვის ენას, თუ ეს დაკონკრეტებული არაა სტანდარტით;
4.1.4 განსაზღვრავს მოდულების განმახორციელებელ პირებს. პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია მოდულების განხორციელება არ იყოს მხოლოდ ერთ პირზე დამოკიდებული და პროგრამის პროფესიული მოდულისთვის განისაზღვროს მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირი;
4.2. მას შემდეგ, რაც განისაზღვრება/შეირჩევა პროფესიული განათლების მასწავლებლები ამა თუ იმ მოდულისათვის, ჯგუფი უფლებამოსილია, უზრუნველყოს მათი ჩართვა პროგრამის შემუშავების ჯგუფში;
4.3.სამუშაო ჯგუფი ახორციელებს საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მოდულების ადაპტირებას;
4.4. მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში, ის ცალკე უნდა დამტკიცდეს);
4.5. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი ბრძანება პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
4.6. მოდულები შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები;
4.7. ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება კოლეჯს არ გააჩნია.
4.8. მოდული მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- მოდულის სახელწოდება;
- მოდულის სტატუსი;
- ზოგადი ინფორმაცია;
- სტანდარტული ჩანაწერები;
- დამხმარე ჩანაწერები;
- საათების განაწილების სქემა;
- სასწავლო რესურსი;
- სსსმ და შშმ სტუდენტების სწავლება;

- მოდულის განმახორციელებელი;
- მოდულის განხორციელების ადგილი, თუ ის განსხვავდება კოლეჯის ფაქტობრივი მისამართისგან.

4.9. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილში რაიმე ცვლილების განხორციელება დაუშვებელია. თუ მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში დაფიქსირდება ხარვეზ(ებ)ი, კოლეჯი უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას;

4.10. მოდულის განხორციელების საათების განაწილების ცვლილება დასაშვებია, თუმცა, არადამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს);

4.11. ჯგუფი უფლებამოსილია, შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ;

4.12. სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვისას, გაითვალისწინება, რომ სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით). მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებებით;

4.13. მოდულში, შესაძლოა, მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი (კოლეჯის სარგებლობაში არსებული შესაბამისი გარემო/ პრაქტიკის განხორციელების ობიექტი).

4.14. პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსი (აღჭურვილობა) უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას;

4.15. ჯგუფი, კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერთან ერთად, ახორციელებს კოლეჯის მფლობელობაში არსებულ რესურსის ანალიზს.

4.16. ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსს, შესაძლებელია, უცვლელად დარჩეს მოდულებში მითითებული ლიტერატურისა და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, შესაძლოა ჩანაცვლებული იქნას სხვა რესურსით შესაბამისი დასაბუთებით, სათანადო პირებთან/პროგრამის განმახორციელებლებთან კონსულტირებით. მოდულებში მითითებული ლიტერატურა უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას. კოლეჯის ბიბლიოთეკართან ერთად ჯგუფი ადარებს კოლეჯის ფლობაში არსებულ ლიტერატურულ რესურსს და ადგენს მოსაძიებელი/შესაძენი ლიტერატურის სიას;

4.17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაძლებელია, განხორციელდეს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით. რაც გულისხმობს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 50%-ზე მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას. თუ საგანმანათლებო პროგრამა უნდა განხორციელდეს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით, ჯგუფმა უნდა გამიჯნოს, თუ რომელი შედეგ(ებ)ის მიღწევა განხორციელდება კოლეჯში და რომელი პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციაში;

4.18. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან კონსულტაციით ჯგუფი ადგენს სასწავლო გეგმას, რომელიც უნდა იძლეოდეს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში);

4.19. იმ შემთხვევაში თუ მოდული, არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა,

სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სასწავლო გეგმაში იყოს გათვალისწინებული არანაკლებ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა სრულფასოვნად განხორციელდეს განმეორებითი შეფასების პროცესის ორგანიზება;

4.20. ჯგუფმა საჭიროების შემთხვევაში უნდა მოიძიოს და უზრუნველყოს საწარმოსთან/საწარმოებთან მოლაპარაკება პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელბლად;

4.21. კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით სამუშაო ჯგუფი ადგენს პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური კვოტას.

4.22. ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის პროექტი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- პროგრამის დასახელებას;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი)სახელწოდებას ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის შექმნის საფუძველს;
- მისანიჭებელი კვალიფიკაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- პროგრამის მიზანს;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობას/წინაპირობებს;
- დასაქმების შესაძლებლობებს;
- სტრუქტურასა და მოდულებს;
- პროგრამის მოცულობას;
- პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობას;
- მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის სწავლის შედეგებს;
- სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების პრობებს;
- პროგრამის მოცულობას;
- რეკომენდაციებს სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდულიშესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის;
- ინფორმაციას ქართული ენის კომპეტენციის დადასტურების შესახებ;
- ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივ საფუძვლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაციას დანართების შესახებ (დანართების ნუსხა);
- ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ;
- პროგრამის განხორციელების ადგილს, მისამართს, კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაციას;

4.23 საგანმანათლებლო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს:

- სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის);
- სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის);
- სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;
- ადაპტირებული მოდულები (შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი უნდა მოიცავდეს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ ყველა მოდულს);
- არჩევითი მოდულები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ქართული ენის მოდულები;
- დუალური პროგრამების დროს პაკეტს ემატება სწავლის შედეგების განაწილების სქემა და ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიასთან. ასევე, დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა.
- ინტეგრირებულ პროგრამაზე სასწავლო გეგმა გაწერილი უნდა იყოს არანაკლებ 3 წელზე.

მუხლის 5. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები

5.1. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი

5.1.1. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანურ რესურსს განეკუთვნება: პროფესიული განათლების მასწავლებელი, დუალური სწავლების შემთხვევაში - ინსტრუქტორი, პრაქტიკის ობიექტზე - პროფესიული სტუდენტების სწავლებაზე/მენტორობაზე პასუხისმგებელი პირი;

5.1.2. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების საკვალიფიკაციო და სხვა სახის მოთხოვნები განსაზღვრულია „პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურებით“;

5.1.3. დაუშვებელია ერთი პირის მიერ პროგრამის ყველა პროფესიული მოდულის განხორციელება. პროგრამას სავალდებულოდ უნდა ჰყავდეს 2 ან მეტი განმახორციელებელი;

5.1.4. მოდულის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა უნდა იძლეოდეს პროგრამის მდგრადი განხორციელების შესაძლებლობას;

5.1.5. დასაშვებია, ინფორმაცია მოდულის განმახორციელებელი პირების ან/და ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის თაობაზე, არ იყოს მოდულის დამხმარე ჩანაწერების ნაწილი და დამტკიცდეს პროგრამის დანართების სახით ან არსებობდეს ორივე სახით. პროგრამის დანართების სახით დამტკიცებული დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მიღწევისა და შეფასების კომპეტენციის ფლობის/დადასტურების შესახებ. ამასთან, ჩანაწერის დასტურად უნდა მიეთითოს შესაბამისი მტკიცებულების სახე, მაგ.: დიპლომი, სერტიფიკატი, ცნობა და სხვა, რაც სავალდებულოდ განთავსდება პერსონალის პირად საქმეში;

5.1.6. პროგრამას სავალდებულოდ უნდა ჰყავდეს პროგრამის ხელმძღვანელი;

5.1.7. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნები განსაზღვრულია „პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურებით“;
5.1.8. დასაშვებია ერთი და იგივე პირი ხელმძღვანელობდეს ერთზე მეტ პროგრამას. აღნიშნული დატვირთვა უნდა მიეთითოს მასთან გაფორმებულ სამუშაოს აღწერილობაში. პერსონალის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ ოდენობას.
5.2. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესური
5.2.1. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი მოიცავს სასწავლო გარემოს, სასწავლო გარემოს შესაბამის აღჭურვილობასა და მასალა - ნედლეულს;
5.2.2. სამუშაო ჯგუფი იხილავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და მასალა - ნედლეულის სარეკომენდაციო ნუსხას და იღებს გადაწყვეტილებას, კოლეჯში პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის მათი რელევანტურობის თაობაზე;
5.2.3. სამუშაო ჯგუფს, სათანადო დასაბუთებით უფლება აქვს ჩაანაცვლოს, დაამატოს ან ამოიღოს ცალკეული აღჭურვილობა/ინვენტარი/მასალა/ნედლეული. სამუშაო ჯგუფის მიერ განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და მასალა-ნედლეული უნდა იძლეოდეს პროგრამის სწავლის შედეგების სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას;
5.2.4. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი ან მისი ნაწილი შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციის ბაზაზე/პრაქტიკის ობიექტზე/სასწავლო საწარმოში. ამ შემთხვევაში, მოცემულ აღჭურვილობასთან/მასალა ნედლეულთან პროფესიულ სტუდენტთა დაშვების შესაძლებლობა და უწყვეტობა, იმ ოდენობითა და ხანგრძლივობით, რასაც ითვალისწინებს პროგრამა, გარანტირებული უნდა იყოს კოლეჯსა და ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ორგანიზაციის ბაზაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ოდენობის გათვალისწინებით. ამავე ხელშეკრულებას უნდა დაერთოს შესაბამისი რესურის (აღჭურვილობა, მასალა-ნედლეული და სხვა) ნუსხა, რომლის უზრუნველყოფასაც ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაცია;
5.2.5. თუ კოლეჯი დაგეგმავს კონკრეტული მოდულის ან სწავლის შედეგის განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ამ ორგანიზაციასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას უნდა დაერთოს მოდულის ან სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი აღჭურვილობა განსაზღვრული არ არის, მაგ. ზოგიერთ საგანმანათლებლო სტანდარტში მოცემული საწარმოო პრაქტიკის მოდულის სწავლებისთვის არ არის განსაზღვრული მატერიალური რესურსი. ეს რესურსი არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს სწავლის შედეგების ხარისხიანად მიღწევის უზრუნველყოფას.
5.3. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესური
5.3.1. საგანმანათლებლო რესურსში/გამოყენებულ ლიტერატურაში ან/და ინფორმაციის წყაროებში უნდა მიეთითოს კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ქაღალდზე ან ელექტრონულ მატარებელზე არსებული ლიტერატურა, კონსპექტები, და სხვა რესურსი, ასევე ინტერნეტ სივრცეში არსებული ბმულები, რომლებიც არსებობს თავისუფალი

წვდომის რეჟიმში, რომელსაც მოდულის სწავლებისას გამოიყენებს მოდულის განმახორციელებელი და პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება ხელმისაწვდომი;

5.3.2. ელექტრონული რესურსის გამოყენების შემთხვევაში, ლიტერატურაში დასახელების გვერდით მითითებული უნდა იყოს „ელექტრონული ვერსია“ და ბმული (არსებობის შემთხვევაში);
5.3.3. მოდულში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უნდა იყოს სწავლის შედეგების ადეკვატური და იძლეოდეს სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევის შესაძლებლობას;
5.3.4. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯის ბიბლიოთეკაში არ არის დაცული მოდულის სწავლის შედეგის მიღწევისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე, კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს მათ შეძენას, არაუგვიანეს პროგრამის პროექტის შემუშავების დასრულებამდე;
5.3.5. იმ პროგრამების შემთხვევაში, როდესაც მოდულები საგანმანათლებლო რესურსების სახით ითვალისწინებენ ნორმატიული აქტების გამოყენებას, მოდულში აქტის დასახელების გვერდით უნდა მიეთითოს საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემა - „matsne.gov.ge“. სისტემასთან უწყვეტი წვდომა უნდა დადასტურდეს კოლეჯის მიერ სისტემასთან/ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ან შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის არსებობით.

5.4. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი

5.4.1. პროგრამის შემუშავებისას, კოლეჯის ბუღალტერი ორგანიზებითა და სამუშაო ჯგუფის წევრების ჩართულობით, სავალდებულოდ იქმნება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო ბიუჯეტი - „პროგრამის ბიუჯეტი“. პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს კოლეჯის ფინანსური რესურსების მობილიზებასა და პროგრამის მდგრადობას, რაც საშუალებას იძლევა სწორად განისაზღვროს სწავლის საფასური, ჯგუფში პროფესიული სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა;
5.4.2. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან;
5.4.3. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი. პროგრამა შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდეს გრანტებით, მიზნობრივი დაფინანსების წყაროებით, დამხმარე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით და სხვა, რაც აისახება პროგრამის ბიუჯეტში;
5.4.4. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, მოიცავს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, არსებობის შემთხვევაში-პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა. თუ სხვა მიზნობრივი წყაროებიდან არ ფინანსდება, პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს საოპერაციო ხარჯებს. ადმინისტრაციულ, ასევე შენობა-ნაგებობების და აღჭურვილობის, ექსპლოატაციის,

შენახვის, აღდგენის, კომუნალურ, ასევე გაუთვალისწინებელ ხარჯებს;
5.4.5. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით განისაზღვრება რენტაბელური ჯგუფის ოდენობა - სტუდენტთა ის მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას;
5.4.6. პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას, არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ გაითვალისწინება გასული წლების დინამიკა, მათ შორის: დაგეგმილი შემოსავლები, რომელიც ფაქტობრივად ვერ იქნა მიღებული, რაც გამოწვეული იყო სტუდენტთა განთესვით, სტატუსის შეჩერებით, შიდა ან გარე მობილობით, სტატუსის შეწყვეტით, გადახდის უუნარობით, კოლეჯის მიერ დადგენილი ფინანსური შეღავათებით და სხვა;
5.4.7. სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას, რომელიც უნდა აღემატებოდეს პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით განსაზღვრული რენტაბელობის ნორმას.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტი/სასწავლო საწარმო

6.1. დასაშვებია ერთი პროგრამისათვის რამდენიმე პრაქტიკის ობიექტის/სასწავლო საწარმოს არსებობა. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტთა ჯგუფი შესაძლოა გადანაწილდეს პრაქტიკის სხვადასხვა ობიექტებზე ერთი და იგივე სწავლის შედეგის მისაღწევად ან ერთსა და იმავე სტუდენტს უხდებოდეს სხვადასხვა ობიექტებზე სხვადასხვა სწავლის შედეგის მიღწევა;
6.2. პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციასთან კოლეჯი აფორმებს პრაქტიკის ხელშეკრულებას;
6.3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს:
ა) ხელშეკრულების საგანი, სადაც განისაზღვრება რომელი პროგრამის ფარგლებში ახორციელებს მხარეები თანამშრომლობას;
ბ) მხარეთა უფლება-მოვალეობები;
გ) პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები;
დ) პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები;
ე) პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია;
ვ) პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ვალდებულებას პრაქტიკის ობიექტმა/სასწავლო საწარმომ გამოყოს პროგრამით ან კოლეჯის მიერ განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორი/სწავლებაზე პასუხისმგებელი პირი;
ზ) სხვა სახის დებულებებს.
თ) დუალური სწავლების შემთხვევაში, პროგრამის განმახორციელებელ მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება დამატებით ითვალისწინებს ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა: სასწავლო გეგმის ერთობლივად შემუშავება და პროფესიულ სტუდენტებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

მუხლი 7. პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავებისა და მასში ცვლილებების განხორციელების მიდგომები

7.1. პროგრამის სასწავლო გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას;
7.2. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას გაითვალისწინება პროგრამის კომპონენ-ტებით/მოდულებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა;
7.3. საწარმოო პრაქტიკის კომპონენტში, პრაქტიკის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობით გასაზღვრულ შემთხვევებში სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების მიხედვით დადგენილი სამუშაო დატვირთვის ოდენობები;
7.4. სასწავლო გეგმაში სავალდებულოდ მიეთითება დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის;
7.5. საშუალო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა უნდა შემუშავდეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;
7.6. სასწავლო გეგმაში მიეთითება შემდეგი სახის ინფორმაცია:
ა) პროგრამის დასახელება;
ბ) მოდულის დასახელება;
გ) მოდულის სარეგისტრაციო ნომერი;
დ) მოდულის ხანგრძლივობა კრედიტებში;
ე) სასწავლო გარემო;
ვ) მოდულზე დაშვების წინაპირობები;
ზ) მოდულის განხორციელების ხანგრძლივობა კვირეებში;
თ) კვირეული სასწავლო დატვირთვა;
ი) განმეორებითი შეფასების თაობაზე აღნიშვნა;
კ) საათების ჯამი (საკონტაქტო, დამოუკიდებელი, შეფასება);
ლ) სხვა სახის ინფორმაცია.
7.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არის არანაკლებ 25 და არაუმეტეს 40 საათი. (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც).როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება ხორციელდება მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა, ასეთ შემთხვევაში, დასაშვებია პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა იყოს 25 საათზე ნაკლები. ასევე, სასწავლო კვირაში, სადაც სრულდება მოდულ(ებ)ი, შესაძლოა, სტუდენტის საათობრივი დატვირთვა იყოს 25 საათზე ნაკლები. „ქართული ენა A2“და „ქართული ენა B1” მოდულის სწავლება შესაძლებელია დასრულდეს 25 საათზე ნაკლები კვირეული დატვირთვით;
7.8. სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელება დასაშვებია შესაბამისი ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში;

7.9. სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელების ობიექტური გარემოება შესაძლოა იყოს, მდგომარეობა, როდესაც ვერ ხორციელდება სასწავლო პროცესის დაგეგმა ამ გეგმის შესაბამისად, მათ შორის:
ა) ფორს-მაჟორული გარემოებები;
ბ) მოდულის განხორციელების ინტენსივობის გაზრდა ან პირიქით;
გ) მოდულის განხორციელების რიგითობის ცვლილება, წინაპირობების დაცვით;
დ) პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება;
ე) სხვა გარემოება.

7.10. სასწავლო გეგმის ცვლილება უნდა ემსახურებოდეს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფას და ხელს უწყოფდეს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვას;
7.11. სასწავლო გეგმის ცვლილება არ უნდა ახანგრძლივებდეს სწავლის პერიოდს და არ იწვევდეს გაუთვალისწინებელ ხარჯებს სტუდენტების მხრიდან. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევაში, პროგრამის განხორციელების პირობები თანხმდება პროფესიულ სტუდენტთან/პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფთან;
7.12. სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელების ინიციატორი შესაძლოა იყოს:
ა) მოდულის განმახორციელებელი პირი;
ბ) პროგრამის ხელმძღვანელი;
გ) სასწავლო პროცესის მენეჯერი;
დ) პროფესიული სტუდენტი.
7.13. სასწავლო გეგმაში განსახორციელებელ წინადადებასა და ცვლილების პროექტს იხილავს პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის ვიზირების შემდეგ, დირექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. სასწავლო გეგმაში ცვლილებების თაობაზე კოლეჯი პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა და სხვა მხარეების ინფორმირებას ამ დოკუმენტით განსაზღვრული წესით, ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.

მუხლი 8. პროგრამის დამტკიცება და განხორციელების უფლების მოპოვება

8.1. პროგრამის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წარდგინების საფუძველზე, პროგრამების დამტკიცების შესახებ დირექტორი გამოსცემს ბრძანებას.
8.2. დირექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი გადაეცემა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს;
8.3. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან და დასკვნას წარუდგენს დირექტორს;
8.4. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე, პროგრამა სათანადო არგუმენტაციით უბრუნდება მის შემმუშავებელ ჯგუფს, ცვლილებების განხორციელებისათვის;

8.5. სამუშაო ჯგუფის წარდგინების საფუძველზე, დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე;
8.6. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელების უფლებიმოპოვების პროცედურებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, ცვლილებების განხორციელება და გაუქმება

9.1. პროგრამაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის (პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები), ჩარჩო დოკუმენტში/საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში), საკანონმდებლო ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე;
9.2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის დირექტორის, ხარისხის უზრუველყოფის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს;
9.3. პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით;
9.4. პროგრამის ცვლილების (სასწავლო გეგმის, საათების, შედეგების და სხვა) განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს ჯგუფის შექმნა. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ასახვა ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად.
9.5. საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

10.2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;
ბ) მონაცემების დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;
გ) გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ;
დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;
ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაცია შიდა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.
10.3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები გაწერილია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში;
10.4. დაინტერესებული მხარეები განისაზღვრება პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პირების მიერ;
10.5. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავება (საჭიროების მიხედვით) ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა მუშავდება პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით;
10.6. საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში
მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა არ განიხილება ახალ პროგრამად;
10.7. პროფესიულ სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ცვლილების განხორციელებამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას აგრძელებენ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, საჭიროების შემთხვევაში განსხვავებული სასწავლო გეგმით, ისე, რომ მიღწეულ იქნას მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები;
10.8. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება შესაბამისი უწყებების ინფორმირებას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.9. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში (მათ შორის ავტორიზაციის დაკარგვის შემთხვევაში), კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, კოლეჯში არსებობს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით.
10.10. პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას კოლეჯი ახორციელებს
შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) მისცეს პროგრამის დასრულების შესაძლებლობა გასაუქმებელი საგანამანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება არ ხორციელდება;
ბ) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულება აფორმებს ხელშეკრულებას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ/მსგავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;
გ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;
დ) უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
ე) გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.
10.11. კოლეჯში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, პროფესიული სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხი და შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს დირექტორს;
10.12. პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი. პროგრამის გაუქმება შეიძლება გამოწვეული იყოს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის გაუქმებით, პროგრამის მიმართ მომხმარებლის ინტერესის არქონით ან სხვა დასაბუთებული მიზეზით.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცებასა და ცვლილებების შეტანაზე პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორი;
11.2. წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება;
11.3. წინამდებარე დოკუმენტის პერსონალისათვის გაცნობაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოების მენეჯერი.